

# სისხლის სამართლის სტატისტიკის

## ერთიანი ანგარიში

საანგარიშო პერიოდი - 2019 წლის აგვისტო

შინაარსი

<b>თავი II.</b>	<b>პროკურატურის სტატისტიკა .....</b>	<b>3</b>
ნაწილი 4	სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები.....	3
4.1	დევნის დაწყების მაჩვენებელი პირების მიხედვით .....	3
4.2	დევნის დაწყების მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით ..	4
4.3	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი პირების მიხედვით .....	16
4.4	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.	16
ნაწილი 5	დაზარალებული პირები.....	18
5.1	დაზარალებული პირები ასაკობრივ, სქესობრივ ჭრილსა და მოქალაქეობის მიხედვით.....	18
5.2	დაზარალებული პირები სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.....	20
ნაწილი 6	არასრულწლოვნები.....	27
6.1	დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ.....	27
6.2	დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.....	28
6.3	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ.....	29
6.4	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.....	31
6.5	დაზარალებული არასრულწლოვნები.....	32
<b>თავი III.</b>	<b>სასამართლო სტატისტიკა .....</b>	<b>34</b>
ნაწილი 7	სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები .....	34
7.1	აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები .....	34
ნაწილი 8	პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები .....	36
8.1	პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა .....	36
8.2	არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები.....	38
8.3	საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები.....	38
ნაწილი 9	მსჯავრდებულები .....	38
9.1	მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით .....	38
9.2	მსჯავრდებულთა შემადგენლობა .....	39
9.3	არასრულწლოვანი მსჯავრდებულები .....	43
ნაწილი 10	დანაშაული და შეფარდებული სასჯელები .....	44
10.1	დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით .....	44
10.2	დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით .....	50
<b>თავი IV.</b>	<b>პენიტენციური და პრობაციის სისტემების სტატისტიკა.....</b>	<b>52</b>
ნაწილი 11	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების -სპეციალური პენიტენციური სამსახური .....	52
11.1	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები .....	52
11.2	არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები .....	58
11.3	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების დადგენილი ლიმიტები .....	59

11.4	მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით .....	60
11.5	მსჯავრდებულები დაწესებულების ტიპის მიხედვით.....	62
11.6	უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები .....	63
11.7	პენიტენციურ სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანა.....	66
11.8	პენიტენციური სისტემიდან გასვლა.....	66
11.9	პენიტენციური სისტემიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გათავისუფლება-გადავადება .....	68
11.10	რესოციალიზაციის მიმდინარეობა.....	68
11.11	სამეურნეო სამუშაოებში დასაქმება.....	75
11.12	დისციპლინური სახდელები.....	76
11.13	წახალისების ფორმები.....	77
11.14	პაემნის ღონისძიებები.....	79
11.15	წარსულში ნასამართლევ ბრალდებულები და მსჯავრდებულები.....	81
11.16	დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები.....	82
11.17	შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება.....	83
11.18	ამნისტიის შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება.....	84
11.19	პენიტენციურ სისტემაში მომხდარი დანაშაულები.....	84
11.20	დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) პენიტენციურ სისტემაში .....	87
11.21	გარდაცვალება.....	95
ნაწილი 12	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - პრობაციის ეროვნული სააგენტო.....	96
12.1	არაპატიმარი მსჯავრდებულები .....	96
12.2	არაპატიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით .....	97
12.3	არასრულწლოვანი არაპატიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით.....	98
12.4	უცხოელი არაპატიმარი მსჯავრდებულები.....	99
12.5	არაპატიმარი მსჯავრდებულები არასაპატიმრო სასჯელის ტიპის მიხედვით .....	101
12.6	არაპატიმარ მსჯავრდებულთა მატება.....	102
12.7	დასრულებული საქმეები.....	104
12.8	პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა .....	107
12.9	არაპატიმარ მსჯავრდებულთა შეწყალება .....	108
12.10	არაპატიმარ მსჯავრდებულთა ამნისტია.....	108
12.11	საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე.....	108
12.12	არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიმდინარეობა და განრიდებულთა შეფასება .....	109
12.13	არაპატიმარ მსჯავრდებულთა დასაქმება.....	112
12.14	შინაპატიმრობა .....	113

## თავი II. პროკურატურის სტატისტიკა


### ნაწილი 4. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები

#### 4.1. დევნის დაწყების მაჩვენებელი პირების მიხედვით

2019 წლის აგვისტოს თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1465 პირის მიმართ. აქედან გამოსაცდელი ვადის გასვლამდე დანაშაული ჩადენილია 216 პირის მიერ, რაც დევნა დაწყებული პირების 14,7%-ს შეადგენს (ცხრილი 3).

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 4):

დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში  
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ დევნის დაწყების მაჩვენებელში)




როგორც მონაცემებიდან ჩანს, დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში ფიქსირდება, ხოლო დაბალი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

#### 4.2. დევნის დაწყების მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით<sup>1</sup>

2019 წლის აგვისტოს თვეში დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ასე გადანაწილდა (ცხრილი 5):

#### დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):


დევნის დაწყების მაჩვენებელი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)



<sup>1</sup> გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთა ჯამი ხშირად აღემატება დევნის დაწყების საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: პირმა ჩაიდინა ორი ან მეტი დანაშაული) დევნის დაწყების მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილების გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა ასევე აღიქმება დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის საერთო მაჩვენებელს.


**დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126<sup>1</sup>):**

**დევნის დაწყების მაჩვენებელი ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**




**დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):**

**დევნის დაწყების მაჩვენებელი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**



**დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):**

**დევნის დაწყების მაჩვენებელი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**




**დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 171-176):**

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნების დანაშაულზე (სსკ-ის 175-ე მუხლი).


**დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189<sup>1</sup>):**

**დევნის დაწყების მაჩვენებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**




**დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 190-207<sup>1</sup>):**

**დევნის დაწყების მაჩვენებელი სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**




**დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში (სსკ მუხლები 208-213):**

**დევნის დაწყების მაჩვენებელი ფულად-საკრედიტო სისტემაში მიმდინარე დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**



**დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში (სსკ მუხლები 214- 219):**

**დევნის დაწყების მაჩვენებელი საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**




**დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 220-221):**

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების დანაშაულზე (სსკ-ის 220-ე მუხლი).




**დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239<sup>1</sup>):**

**დევნის დაწყების მაჩვენებელი საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**




**სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (სსკ მუხლები 240-245):**

**დევნის დაწყების მაჩვენებელი სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**




**დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 246-259):**

**დევნის დაწყების მაჩვენებელი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**




ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):

**დევნის დაწყების მაჩვენებელი ნარკოტიკულ დანაშაულებზე  
(2019 წლის აგვისტო)**




**სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):**

**დევნის დაწყების მაჩვენებელი სატრანსპორტო დანაშაულებზე  
(2019 წლის აგვისტო)**




**კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):**

**დევნის დაწყების მაჩვენებელი კომპიუტერული დანაშაულებზე  
(2019 წლის აგვისტო)**



**დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 287-306):**

**დევნის დაწყების მაჩვენებელი გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ  
მიმართულ დანაშაულებზე  
(2019 წლის აგვისტო)**



**ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა (სსკ მუხლები 322<sup>1</sup>-322<sup>2</sup>):**


დეენა დაიწყო 2 პირის მიმართ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევის დანაშაულზე (სსკ-ის 322<sup>1</sup>-ე მუხლი).

**ტერორიზმი (სსკ მუხლები 323-331<sup>1</sup>):**

დეენა დაიწყო 1 პირის მიმართ ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების დანაშაულზე (სსკ-ის 331-ე მუხლი).


**სამოხელეო დანაშაული (სსკ მუხლები 332-342<sup>1</sup>):**

**დეენის დაწყების მაჩვენებელი სამოხელეო დანაშაულებზე  
(2019 წლის აგვისტო)**




დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):

**დევნის დაწყების მაჩვენებელი მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**



**დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 368-373):**

**დევნის დაწყების მაჩვენებელი მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**




**დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება (სსკ მუხლები 374-376):**

დევნა დაიწყო 3 პირის მიმართ დანაშაულის შეუტყობინებლობის დანაშაულზე (სსკ-ის 376-ე მუხლი).

**დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381<sup>2</sup>):**

**დევნის დაწყების მაჩვენებელი სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**




**დანაშაული დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 382-396):**

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ სამხედრო სარეზერვო სამსახურისთვის თავის არიდება ავადმყოფობის სიმულაციით ან სხვაგვარად მოტყუების დანაშაულზე (სსკ-ის 388-ე მუხლი).

#### 4.3. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი პირების მიხედვით

2019 წლის აგვისტოს თვეში დევნა შეწყდა 20 პირის მიმართ. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 3; ცხრილი 4):

**დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში  
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ დევნის შეწყვეტაში)**



#### 4.4. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2019 წლის აგვისტოს თვეში დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 6):

დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126<sup>1</sup>):


**დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ  
დანაშაულებზე  
(2019 წლის აგვისტო)**





**დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189<sup>1</sup>):**

**დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ  
დანაშაულებზე  
(2019 წლის აგვისტო)**



**დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 190-207<sup>1</sup>):**

დევნა შეწყდა 2 პირის მიმართ სსკ-ის 192-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (უკანონო სამეწარმეო საქმიანობა).

**ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):**

დევნა შეწყდა 2 პირის მიმართ სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება).

**სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):**

დევნა შეწყდა 2 პირის მიმართ სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა).

**სამოხელეო დანაშაული (სსკ მუხლები 332-342<sup>1</sup>):**

დევნა შეწყდა 2 პირის მიმართ სსკ-ის 342-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (სამსახურებრივი გულგრილობა).

**დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):**


დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სსკ-ის 344-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა).

## ნაწილი 5. დაზარალებული პირები

### 5.1. დაზარალებული პირები ასაკობრივ, სქესობრივ ჭრილსა და მოქალაქეობის მიხედვით


2019 წლის აგვისტოში სულ დაზარალებულ პირთა რაოდენობამ შეადგინა 1079. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დაზარალებული პირები ასე გადანაწილდა (ცხრილი 7):

**დაზარალებული პირები ასაკობრივ ჭრილში  
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ  
დაზარალებულ პირთა რაოდენობაში)**




დაზარალებული პირები სქესობრივ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 5):

**დაზარალებული პირები სქესობრივ ჭრილში  
(2019 წლის აგვისტო)**



2019 წლის აგვისტოს თვეში დაზარალებული პირების უმეტესობა საქართველოს მოქალაქეა (ცხრილი 5):

**დაზარალებული პირები მოქალაქეობის მიხედვით  
(2019 წლის აგვისტო)**




## 5.2. დაზარალებული პირები სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით<sup>2</sup>

2019 წლის აგვისტოს თვეში დაზარალებული პირები სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ასე გადანაწილდა (ცხრილი 8):

### დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):


#### დაზარალებული პირები სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)



<sup>2</sup> გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილ დაზარალებულ პირთა ჯამი ხშირად აღემატება დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: თუ დაზარალებულის მიმართ ჩადენილ იქნა ორი ან მეტი დანაშაული) დაზარალებული პირის მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილების გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა შესაძლოა აღქმულ იქნას დამოუკიდებელ დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს.


**დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126<sup>1</sup>):**

**დაზარალებული პირები ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**




**დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):**

**დაზარალებული პირები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**




**დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):**

**დაზარალებული პირები ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**



დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189<sup>1</sup>):

**დაზარალებული პირები საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე  
(2019 წლის აგვისტო)**




დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 190-207<sup>1</sup>)

დაზარალდა 6 პირი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შედეგად (სსკ-ის 194-ე მუხლი).


**დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239<sup>1</sup>):**

**დაზარალებული პირები საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**



**სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (სსკ მუხლები 240-245):**

**დაზარალებული პირები სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**



**სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):**




დაზარალდა 86 პირი ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის შედეგად (სსკ-ის 276-ე მუხლი).

**კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):**

დაზარალდა 5 პირი კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის შედეგად (სსკ-ის 284-ე მუხლი).


**დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 287-306):**

**დაზარალებული პირები გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**



**დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):**

**დაზარალებული პირები მმართველობის წესის წინააღმდეგ წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**



**დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 368-373):**

დაზარალდა 1 პირი ცრუ დასმენის შედეგად (სსკ-ის 373-ე მუხლი).

**დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381<sup>2</sup>):**

დაზარალდა 31 დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად (სსკ-ის 381<sup>1</sup>-ე მუხლი).

**დანაშაული დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 382-396):**

დაზარალდა 1 პირი ურთიერთ დაუქვემდებარებელ სამხედრო მოსამსახურეთა შორის დამოკიდებულების წესის დარღვევის შედეგად (სსკ-ის 386-ე მუხლი).


## ნაწილი 6. არასრულწლოვნები

### 6.1 დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ

2019 წლის აგვისტოს თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 26 არასრულწლოვნის მიმართ. აქედან 2 პირმა (7.7%) დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის გასვლამდე (ცხრილი 3).

არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 4):

დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ რეგიონულ ჭრილში  
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელში)



## 6.2. დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით<sup>3</sup>


2019 წლის აგვისტოს თვეში არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი კონკრეტული დანაშაულების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 5):

### დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):

დევნა დაიწყო 1 არასრულწლოვნის მიმართ მკვლელობის მცდელობის დანაშაულზე (სსკ-ის 19-108-ე მუხლი).

### დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126<sup>1</sup>):

#### დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)



### დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189<sup>1</sup>):

#### დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)



<sup>3</sup> გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთა ჯამი ხშირად აღემატება დევნის დაწყების საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: პირმა ჩაიდინა ორი ან მეტი დანაშაული) დევნის დაწყების მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილების გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა ასევე აღიქმება დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის საერთო მაჩვენებელს.

**დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239<sup>1</sup>):**

დევნა დაიწყო 1 არასრულწლოვნის მიმართ სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლით (21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება).


**ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):**

**დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ ნარკოტიკულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**



**დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):**

**დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**



**დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381<sup>2</sup>):**

დევნა დაიწყო 1 არასრულწლოვნის მიმართ სსკ-ის 381-ე მუხლით (განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა).

**6.3. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ**

2019 წლის აგვისტოს თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 4 არასრულწლოვნის მიმართ. (ცხრილი 3).

არასრულწლოვანთა მიმართ დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 4):

**დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ  
რეგიონულ ჭრილში  
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ არასრულწლოვანთა მიმართ  
დევნის შეწყვეტის მაჩვენებელში)**

თბილისი	4 (100%)
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	0
ქვემო ქართლი	0
კახეთი	0
სამცხე-ჯავახეთი	0
დასავლეთ საქართველო	0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0
აჭარა	0
გენერალური პროკურატურა	0

**6.4. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით**

2019 წლის აგვისტოს თვეში არასრულწლოვანთა მიმართ დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი კონკრეტული დანაშაულების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 6):

**დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189<sup>1</sup>):**

**დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**



**ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):**


დევნა შეწყდა 1 არასრულწლოვნის მიმართ სსკ-ის 260-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება).

## 6.5. დაზარალებული არასრულწლოვნები<sup>4</sup>

2019 წლის აგვისტოს თვეში სულ დაზარალდა 55 არასრულწლოვანი. დაზარალებული არასრულწლოვნები დანაშაულების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 8):


**დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126<sup>1</sup>):**

### დაზარალებული არასრულწლოვნები ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)



**დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):**

### დაზარალებული არასრულწლოვნები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)



<sup>4</sup> გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილ დაზარალებულ პირთა ჯამი ხშირად აღემატება არასრულწლოვან დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: თუ არასრულწლოვანი დაზარალებულის მიმართ ჩადენილ იქნა ორი ან მეტი დანაშაული) დაზარალებული პირის მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილების გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა შესაძლოა აღქმულ იქნას დამოუკიდებელ დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის არასრულწლოვან დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს.




დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):

**დაზარალებული არასრულწლოვნები ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**



დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189<sup>1</sup>):

**დაზარალებული არასრულწლოვნები საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2019 წლის აგვისტო)**



სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):


დაზარალდა 7 არასრულწლოვანი ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის შედეგად (სსკ-ის 276-ე მუხლი).

### თავი III. სასამართლო სტატისტიკა

#### ნაწილი 7 - სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

##### 7.1 აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები

2019 წლის აგვისტოში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულია საგამომიებო ორგანოებიდან აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებაზე შემოსული 1506 შუამდგომლობა. განხილული შუამდგომლობებიდან დაპატიმრების ხვედრითი წილი შეადგენს 37,5%-ს, გირაოს ხვედრითი წილი - 62,1%-ს, არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა - 0,1%-ს (იხ. დანართი ცხრილი №9).




სულ განხილული შუამდგომლობიდან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 735 შუამდგომლობა, ანუ 48,8%. მათ შორის: დაპატიმრების შეფარდებაზე განხილული შუამდგომლობებიდან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 72,7%, გირაოს შეფარდებაზე დაკმაყოფილებულ იქნა 34,2%.

დატოვებულია განუხილველად საპროცესო შეთანხმების დამტკიცების გამო საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული 616 შუამდგომლობა, ანუ 40,9%.


საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული შუამდგომლობებიდან უარი ეთქვა მოცემული შუამდგომლობის შეფარდებაზე და შეეფარდა სხვა აღკვეთის ღონისძიება, ან უარი ეთქვა შეფარდებაზე 155 შუამდგომლობას, ანუ 10,3%-ს;

### შუამდგომლობების განხილვის შედეგები



2019 წლის აგვისტოში სულ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებებიდან დაპატიმრებაზე მოდის 46,8% (411), გირაოზე - 51,1% (449), არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემაზე 0,2% (2), გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმებაზე - 1,5% (13).

### შეფარდებული ალკვეთის ღონისძიებები



2019 წლის აგვისტოში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სულ შეფარდებული 878 ალკვეთის ღონისძიებიდან საპატიმრო იყო 411, ანუ 46,8%, ხოლო არასაპატიმრო - 467, ანუ 53,2%. არასაპატიმრო ალკვეთის ღონისძიებებში შეფარდებული გირაოს ხვედრითმა წილმა შეადგინა 96,1%.


### *ნაწილი 8 - პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები*

#### **8.1 პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა**

2019 წლის აგვისტოში პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილულია 1022 საქმე 1120 პირის მიმართ, აქედან განაჩენის გამოტანით განხილულია 999 საქმე, ანუ 97,7%, შეწყდა 8 საქმე (0,8%), დაუბრუნდა პროკურატურას 15 საქმე, ანუ 1,5% (იხ. დანართი ცხრილი №10).

2019 წლის აგვისტოში განაჩენის გამოტანით განხილული საქმეებიდან საპროცესო შეთანხმებით განხილული 755 საქმე (სულ განხილული საქმეების 75,6%) 824 პირის მიმართ (სულ განხილული პირების 75,3%), არსებითი განხილვით დამთავრდა 244 საქმე (შესაბამისად 24,4%) 270 პირის მიმართ (24,7%).

**პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითად და საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეების ხვედრითი წილი განაჩენის გამოტანით განხილულ საქმეებში**



## 8.2 არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები

2019 წლის აგვისტოში პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითი განხილვით დამთავრებული 244 საქმიდან გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 216 საქმეზე, გამამართლებელი განაჩენი - 18 საქმეზე, ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი 10 საქმეზე (იხ. დანართი ცხრილი №11).

2019 წლის აგვისტოში სულ არსებითი განხილვით მსჯავრდებული, გამართლებული და შეწყვეტილი 279 პირიდან გამართლებულ პირთა ხვედრითი წილი შეადგენს 6,8%-ს, ნაწილობრივ გამართლებული პირების ხვედრითი წილი - 3,6%-ს, ხოლო იმ პირების ხვედრითი წილი, რომელთა მიმართ საქმე შეწყდა შეადგენს 3,2%-ს (იხ. დანართი ცხრილი №12).

## 8.3 საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები

2019 წლის აგვისტოში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ არსებითი განხილვის გარეშე შემოსული იყო 611 სისხლის სამართლის საქმე 658 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით განაჩენი გამოტანილ იქნა 755 საქმეზე 824 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით გამოტანილ განაჩენებში არსებითი განხილვით შემოსული საქმეების ხვედრითი წილი შეადგენს 18,9% (იხ. დანართი ცხრილი №13).


## ნაწილი 9 - მსჯავრდებულები

### 9.1 მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით

2019 წლის აგვისტოში სულ მსჯავრდებული 1075 პირიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 161 პირს, ანუ 15,0%-ს;
- პირობითი მსჯავრი შეეფარდა 591 პირს, ანუ 55,0%-ს;
- ჯარიმა შეეფარდა 256 პირს, ანუ 23,8%-ს;
- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 66 პირს, ანუ 6,1%;
- შინაპატიმრობა 1 პირს, 0,1%-ს.

## მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით



### 9.2 მსჯავრდებულთა შემადგენლობა


2019 წლის აგვისტოში სულ მსჯავრდებული 1075 პირიდან მამაკაცი შეადგენდა 93,8%-ს, ხოლო ქალი 6,2%-ს.

ალკოჰოლურ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენდა 0,3%-ს, ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 2,7%-ს. სოფლად ჩადენილი დანაშაული შეადგენს 31,1%-ს. სულ მსჯავრდებული პირებიდან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე იყო 6,3% (იხ. დანართი ცხრილი №14).

ასაკის მიხედვით მსჯავრდებულები ნაწილდება შემდეგნაირად:

- 14-17 წლის ასაკის მსჯავრდებულთა 16 პირი, რაც შეადგენს 1,5%-ს,
- 18-24 წლის ასაკის - 148 პირი, ანუ 13,8%,
- 25-29 წლის ასაკის 167 პირი, ანუ 15,5%,
- 30-49 წლის ასაკის 544 პირი, ანუ 50,6%;
- 50 წლის ზევით ასაკის - 200 პირი, ანუ 18,6%


მსჯავრდებულთა განაწილება ასაკის მიხედვით





მსჯავრდებულთა შორის არასრული საშუალო განათლების მქონეა 41 პირი, ანუ 3,8%, საშუალო განათლების მქონეა 847 პირი, ანუ 78,8%, უმაღლესი განათლების მქონეა 183 პირი, ანუ 17,0%.


### მსჯავრდებულთა განაწილება განათლების დონის მიხედვით



1075 მსჯავრდებული პირიდან:

- უმუშევარია 896, ანუ 83,3%
- კომერციული ან სხვა ორგანიზაციის 36, ანუ 3,3%
- სხვა მომუშავეა 93, ანუ 8,7%
- კერძო მეწარმეა 14, ანუ 1,3%
- მოსწავლე ან სტუდენტია 4 ანუ 0,4%
- საჯარო მოსამსახურეა 10, ანუ 0,9% და სხვა.

მსჯავრდებულთა გადანაწილება საქმიანობის მიხედვით  
(პროცენტობით)



მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ნასამართლობის მქონეა მსჯავრდებულთა 6,7%.


### 9.3 არასრულწლოვანი მსჯავრდებულები

2019 წლის აგვისტოში მსჯავრდებული იყო 16 არასრულწლოვანი, რაც შეადგენს აგვისტოში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ მსჯავრდებული პირების 1,5%-ს.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულებიდან ვაჟი იყო 16, ანუ 100,0%. არ მუშაობდა და არ სწავლობდა 14 არასრულწლოვანი, ანუ სულ მსჯავრდებული არასრულწლოვნების 87,5% (იხ. დანართი ცხრილი №15).

2019 წლის აგვისტოში სულ მსჯავრდებული 16 არასრულწლოვანიდან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 4 პირს, ანუ 25,0%-ს, პირობითი მსჯავრი 10 პირს, ანუ 62,5%-ს, შინაპატიმრობა 1 პირს, ანუ 6,3%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 1 პირს, ანუ 6,3%-ს.

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელების მიხედვით



მსჯავრდებული 16 არასრულწლოვანი პირი დანაშაულის სახეების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

- ქურდობისათვის მსჯავრი დაედო 6 პირს, ანუ 37,5%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 3 პირს, ანუ 50,0%;
- თაღლითობისათვის მსჯავრი დაედო 3 პირს, ანუ 18,8%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა არ შეეფარდა არც ერთ პირს
- ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის მსჯავრი დაედო 2 პირს, ანუ 12,5%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 1 პირს, ანუ 50,0% და სხვა (იხილეთ დანართი ცხრილი №17).

რეგიონების მიხედვით არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ნაწილდებიან შემდეგნაირად:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ იქნა 9 არასრულწლოვანი, ანუ 56,3%;
- აჭარის, სამეგრელოსა და სამცხე-ჯავახეთის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა თითო-თითო არასრულწლოვანი, ანუ 6,3%;
- იმერეთისა და ქვემო ქართლის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა 2-2 არასრულწლოვანი, ანუ 12,5% (იხ. დანართი ცხრილი №18).

## **ნაწილი 10 - დანაშაული და შეფარდებული სასჯელები**

### **10.1 დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების**

#### **მიხედვით**

2019 წლის აგვისტოში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით განხილულ იქნა 999 საქმე 1094 პირის მიმართ. მსჯავრდებული 1075 (19 პირის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი) პირის მიერ ჩადენილი იყო 1335 დანაშაული, ხოლო დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნულ იქნა 1422 სასჯელი (იხ. დანართი ცხრილი №19).


2019 წლის აგვისტოში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული შეადგენს 6,6%-ს, მძიმე დანაშაული - 21,0%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაული 72,4%-ს.

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული 1422 სასჯელიდან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი შეადგენს 6,5%-ს, მძიმე დანაშაულისათვის

შეფარდებული სასჯელი - 21,5%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 71,9%-ს.

მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი დანაშაულებისა და ჩადენილი დანაშაულებისათვის

დანიშნული სასჯელების სტრუქტურა დანაშაული



კატეგორიების მიხედვით (პროცენტობით)


ს

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 36,6%-ს, პირობითი მსჯავრის - 59,1%-ს.

მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 28,4%-ს, პირობითი მსჯავრის - 64,4%-ს, ჯარიმის - 6,2%-ს.


ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 14,3%-ს, პირობითი მსჯავრის - 49,5%-ს, ჯარიმის - 27,5%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის - 7,7%-ს.

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით (პროცენტობით)



2019 წლის აგვისტოში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილია 169 ძალადობრივი დანაშაული, რაც სულ ჩადენილ დანაშაულში შეადგენს 12,7%-ს, აღნიშნული დანაშაულებისათვის დანიშნულია 195 სასჯელი, ანუ 13,7%. პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ ძალადობრივი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 34,4%-ს, პირობითი მსჯავრის 19,5%-ს, ჯარიმის - 38,5%-ს.


### ძალადობრივი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელები



აგვისტოში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან კორუფციული დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 2,0%-ს, დანიშნული სასჯელების ხვედრითი წილი - 2,3%-ს (იხ. დანართი ცხრილი №20).

საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილ დანაშაულში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის: საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე - 18,5% (247), ნარკოტიკულ დანაშაულზე - 24,5% (327), ჯანმრთელობის წინააღმდეგ დანაშაულზე - 20,0% (269), მმართველობის წესის წინააღმდეგ დანაშაულზე - 12,0% (160), დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ - 4,9 (65) და სხვა.

### მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების სტრუქტურა (პროცენტობით)






2019 წლის აგვისტოში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული 1422 სასჯელიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეადგენს 18,8%-ს (267);
- პირობითი მსჯავრი 53,3%-ს (758);
- ჯარიმა 21,4%-ს (304);
- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 6,4%-ს (91).


### დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული სასჯელების სტრუქტურა




## 10.2 დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

2019 წლის აგვისტოში პირველი ინსტანციის სასამართლოებში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის შეფარდებული სასჯელებიდან 402, ანუ 28,3% მოდის თბილისის საქალაქო სასამართლოზე, იმერეთის სასამართლოებზე - 192, ანუ 13,5%, აჭარის სასამართლოებზე - 140, ანუ 9,8%, ქვემო ქართლის სასამართლოებზე - 129, ანუ 9,1%, შიდა ქართლის სასამართლოებზე - 100, ანუ 7,0%, სამეგრელოს სასამართლოებზე - 159, ანუ 11,2% და სხვა (იხ. დანართი ცხრილი №21).

### ჩადენილი დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების განაწილება რეგიონების მიხედვით



**ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების  
სტრუქტურა რეგიონალურ კრილში (პროცენტობით)**



თითოეული დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელის ღონისძიებებში თავისუფლების აღკვეთის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: თბილისზე - 26,4%, ქვემო ქართლზე - 25,6%, მცხეთა - მთიანეთზე - 26,5%, იმერეთზე - 18,8%, კახეთზე - 19,0%, გურიაზე - 27,9% და ა.შ.

პირობითი მსჯავრის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: იმერეთზე - 58,3%, რაჭაზე - 50,0%, სამცხე-ჯავახეთზე - 73,8%, მცხეთა - მთიანეთზე - 50,0%, აჭარაზე - 47,9%, კახეთზე - 60,0%, შიდა ქართლზე - 75,0%, სამეგრელოზე - 64,2% და ა.შ.

ჯარიმის მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა: ქვემო ქართლი-31,8%, აჭარა - 30,0%, რაჭა - 31,3%, სამცხე-ჯავახეთი - 20,6%, გურია - 16,3%, სამეგრელო - 21,4%, მცხეთა-მთიანეთი - 17,6%, თბილისი - 25,9% და სხვა.

## **თავი IV. პენიტენციური და პრობაციის სისტემების სტატისტიკა**

### **ნაწილი 11 - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახური**

#### **11.1 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები**

##### **ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის შედარება საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან სქესობრივ ჭრილში**


2019 წლის აგვისტოს მდგომარეობით, პენიტენციური დეპარტამენტის დაწესებულებებში განთავსებული იყო სულ 9 955 პირი. მათგან 9 585 კაცი და 370 ქალია.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის სტატისტიკის სამმართველოში ყოველთვიურად ხდება ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პროცენტული შედარება, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2019 წლის პირველი იანვრის მონაცემებით დაფიქსირებულ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან. ქვეყნის მოსახლეობის აღნიშნულ რაოდენობასთან, პენიტენციური დეპარტამენტის მიმდინარე წლის 31 აგვისტოს მონაცემების შედარების შედეგად ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რიცხვმა (9 955) ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის (3 723 500) 0.27%-ს შეადგინა. მამრობითი სქესის ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა (9 585) ქვეყნის მამრობითი სქესის მოსახლეობის (1 790 900) 0.54%-ს, ხოლო მდედრობითი სქესის ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა (370) ქვეყნის მდედრობითი სქესის მოსახლეობის (1 932 600) 0.02%-ს შეადგენს (იხ. დანართი, ცხრილი №22).

##### **ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში**


2019 წლის აგვისტოს თვეში, სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ყველაზე მეტი ხვედრითი წილი სრულწლოვან კაცებზე მოდიოდა (9 532). ქვემოთ მოცემულია ყველა დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ამსახველი დიაგრამები, სადაც უფრო დეტალურად არის ნაჩვენები სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების პროცენტული წილის ურთიერთმიმართება (იხ. დანართი, ცხრილი №23, №24, №25):

### ბრალდებულები და მსჯავრდებულები ასაკობრივ ჯგუფში



როგორც მოცემული დიაგრამიდან ჩანს, 41-49 წლამდე ასაკის ბრალდებულები და მსჯავრდებულები საერთო რაოდენობის ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებლებით ხასიათდებიან.


### ბრალდებულები და მსჯავრდებულები სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში




## ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი კატეგორიები

2019 წლის აგვისტოს თვეში, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული იყო სულ 9 955 პირი (მათ შორის: ბრალდებული - 1 932; მსჯავრდებული - 8 023). მათი კლასიფიცირება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შემდეგ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №27):


### ბრალდებულთა ასაკობრივი კატეგორიები



მსჯავრდებულთა  
ასაკობრივი კატეგორიები



**ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა  
ასაკობრივი კატეგორიები (საერთო)**




**ბრალდებულები და მსჯავრდებულები პენიტენციურ დაწესებულებებში**

2019 წლის აგვისტოს თვეში, 8 პენიტენციურ დაწესებულებაში სულ 1 932 ბრალდებული ირიცხებოდა. საერთო შეფარდებით დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 19.4%-ს ბრალდებულები შეადგენდნენ. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №28):




### ბრალდებულები დაწესებულებებში



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მეტი ბრალდებული 2019 წლის აგვისტოს თვეში №8 დაწესებულებაში ირიცხებოდა.

2019 წლის აგვისტოს თვეში, 15 პენიტენციურ დაწესებულებაში სულ 8 023 მსჯავრდებული ირიცხებოდა. საერთო რაოდენობასთან შეფარდებით დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 80.6%-ს მსჯავრდებულები შეადგენდნენ. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №28):


### მსჯავრდებულები დაწესებულებებში




როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მეტი მსჯავრდებული 2019 წლის აგვისტოს თვეში №15 დაწესებულებაში ირიცხებოდა.

**11.2 არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები**

2019 წლის აგვისტოს თვეში, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რიცხვი (54) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.5%-ს შეადგენს. არასრულწლოვანთა შორის 28 ბრალდებულია, მათგან 1 მდედრობითი სქესის. არასრულწლოვანი ბრალდებულების რიცხვი ბრალდებულთა საერთო რაოდენობის 1.4%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 51.9%-ს შეადგენს. ქვემოთ მოცემულია დაწესებულებებში მათი განაწილების ამსახველი სურათი (იხ. დანართი, ცხრილი №26):



არასრულწლოვანთა შორის 26 მსჯავრდებულია, ყველა მამრობითი სქესის. არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რიცხვი, მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.3%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 48.1%-ს შეადგენს. პენიტენციურ დაწესებულებებში მათი საერთო რაოდენობის განაწილების მაჩვენებელი შემდეგია (იხ. დანართი, ცხრილი №26):



### 11.3 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების დადგენილი ლიმიტები

„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №106 ბრძანებით<sup>1</sup> დადგენილია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების რაოდენობრივი ლიმიტი თითოეული დაწესებულებისთვის. დაწესებულებებში განთავსებულ პირთა რეალური რაოდენობის შედარება, დაწესებულებებში განთავსების ლიმიტირებულ რაოდენობასთან ხდება თითოეულ დაწესებულებასთან მიმართებაში.


პენიტენციურ სისტემას დაქვემდებარებულ 15 დაწესებულებაში არსებული საპატიმრო ადგილების საერთო ლიმიტირებული რაოდენობა 12 185-ს შეადგენს. 2019 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა (9 955) ამ ზღვარზე 2 230 ერთეულით (18.3%) ნაკლებია. ამ მხრივ სხვადასხვა დაწესებულებებში განსხვავებული მდგომარეობაა. ამასთან აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში, დადგენილ ლიმიტებთან შედარებით, მეტობის მაჩვენებელი №2 და №15 დაწესებულებებში დაფიქსირდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია დაწესებულებების ჩამონათვალი დადგენილი ლიმიტებით, სადაც პროცენტული მაჩვენებლის შემდეგ ფრჩხილებში მოცემულია შესაბამისი ციფრი. ამდენად, თითოეულ დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ამჟამინდელი რაოდენობის დადგენილ ლიმიტზე ნაკლებობა/მეტობა დიაგრამაზე გამოსახულია როგორც რაოდენობრივი, ასევე პროცენტული მაჩვენებლის სახით (იხ. დანართი, ცხრილი №29):

---

<sup>1</sup> 2015 წლის 27 აგვისტოს №106 ბრძანებაში ბოლო ცვლილება განხორციელდა 2019 წლის 26 აგვისტოს.

**ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობის შედარება  
დაწესებულებებში განთავსების დადგენილ ლიმიტებთან  
(ნაკლებობის/მეტობის მაჩვენებლებით)**




როგორც მოცემული გრაფიკიდან ჩანს, 2019 წლის აგვისტოში, №2 და №15 დაწესებულებებში განთავსებული იყო ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დადგენილ ლიმიტებთან შედარებით ჭარბი რაოდენობა. ხოლო, დადგენილთან შედარებით, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა პროცენტულად ყველაზე ნაკლები რაოდენობა №17 დაწესებულებაში დაფიქსირდა.

**11.4 მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით**


2019 წლის აგვისტოს თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულები, ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 80.6%-ს შეადგენდა. მათგან, უმეტესობას მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირები წარმოადგენენ. ასევე, დიდი ხვედრითი წილით განისაზღვრებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების რაოდენობაც. რაც შეეხება მსჯავრდებულთა გადანაწილებას დანაშაულის სახეობის მიხედვით, უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობა ეკონომიკური (3 625) და საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (3 353) ჩადენილი დანაშაულისათვის იხდის სასჯელს.

ასევე, მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება ადამიანის წინააღმდეგ (2 479) ჩადენილი დანაშაული (იხ. დანართი, ცხრილი №30, №31):

### მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიის მიხედვით დაწესებულებებში




**მსჯავრდებულები  
დანაშაულის სახეობის მიხედვით**



**11.5 მსჯავრდებულები დაწესებულების ტიპის მიხედვით**

2019 წლის აგვისტოს თვეში, მსჯავრდებულთა რიცხვი, რომელთაც დაწესებულების ტიპი განესაზღვრათ 7 995-ს, ხოლო დაწესებულების განსაზღვრის მოლოდინში მყოფ მსჯავრდებულთა რაოდენობა 28-ს შეადგენდა. მათი რაოდენობა შეფარდებული დაწესებულების ტიპის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №32):

**მსჯავრდებულები  
დაწესებულების ტიპის მიხედვით**




## 11.6 უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2019 წლის აგვისტოს თვეში, პენიტენციურ სისტემაში განთავსებულნი იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები 48 ქვეყნიდან და მოქალაქეობის არმქონე პირები. მ/წლის აგვისტოს დასასრულს მათი რიცხვი 694-ს (ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 7.0%) შეადგენდა. მათ შორის: №2 დაწესებულებაში 2 (რუსეთი-საქართველო), №5 დაწესებულებაში 6 (თურქეთი-საქართველო, თურქეთი-საქართველო, ისრაელი-საქართველო, რუსეთი-თურქეთი, რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო), №6 დაწესებულებაში 2 (რუსეთი-საქართველო), №8 დაწესებულებაში 7 (აშშ-ირლანდია, რუსეთი-საქართველო, აზერბაიჯანი-საქართველო, უკრაინა-საქართველო, ირანი-აშშ, სომხეთი-აშშ, სომხეთი-საქართველო), №12 დაწესებულებაში 1 (ესტონეთი-საქართველო), №16 დაწესებულებაში 5 (საბერძნეთი-რუსეთი, რუსეთი-საქართველო, სერბეთი-რუსეთი, ირანი-საქართველო, ირანი-საქართველო), №17 დაწესებულებაში 2 (რუსეთი-საქართველო), №18 დაწესებულებაში 1 (აშშ-სომხეთი) და №19 დაწესებულებაში 2 (საბერძნეთი-საქართველო, სომხეთი-საქართველო) ორმაგი მოქალაქეობის მქონე ბრალდებული/მსჯავრდებული იმყოფებოდა.

ქვემოთ მოცემულია პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობის ამსახველი დიაგრამები, სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და სახელმწიფოების შესაბამისი მოქალაქეობის მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №33, №34):


უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე  
ბრალდებულები და მსჯავრდებულები




როგორც ამ დიაგრამიდან ჩანს, უცხოელთაგან უდიდესი ნაწილი ირანზე, თურქეთზე, აზერბაიჯანსა და რუსეთზე მოდის. დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან ქვეყნები, რომლებიც დიაგრამაზე გაერთიანებულია კატეგორიაში „სხვა“ (ავღანეთი - 1, არგენტინა - 1, ეკვადორი - 1, ესტონეთი - 1, იემენი - 1, ირლანდია - 1, კვიპროსი - 1, კოლუმბია - 1, კორეა - 1, ლატვია - 1, ლიბანი - 1, მექსიკა - 1, პალესტინა - 1, პოლონეთი - 1, პორტუგალია - 1, საუდის არაბეთი - 1, საფრანგეთი - 1, ტაჯიკეთი - 1, უგანდა - 1, ფინეთი - 1).



უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე  
ბრალდებულები და მსჯავრდებულები




**უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე  
ბრალდებულები და მსჯავრდებულები  
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში**



**11.7 პენიტენციურ სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანა**

2019 წლის აგვისტოს თვეში, პენიტენციურ სისტემაში სულ 1 050 პირის გადაადგილება დაფიქსირდა. მათ შორის: საერთო პროფილის საავადმყოფოებში 422; პენიტენციურ დაწესებულებებში - 628. (იხ. დანართი, ცხრილი №35):


**ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა გადაყვანა**



**11.8 პენიტენციური სისტემიდან გასვლა**

2019 წლის აგვისტოს თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა საერთო რაოდენობამ წინა თვესთან შედარებით 653 ერთეულით დაიკლო. ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდისთვის პენიტენციური სისტემიდან სხვადასხვა საფუძვლით გასულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა (იხ. დანართი, ცხრილი №36):

**პენიტენციური სისტემიდან გასული  
ბრალდებულები და მსჯავრდებულები**




როგორც ვხედავთ, პენიტენციური სისტემიდან გასულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უდიდესი წილი კალენდარულად (175), პირობით ვადამდე<sup>2</sup> (111), პირობითი მსჯავრით (35), სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლით<sup>3</sup> - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა/შინაპატიმრობა (24) და შეწყალებით (20) გათავისუფლებულ მსჯავრდებულებზე მოდის. ხოლო, დაბალი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი ავადმყოფობით გათავისუფლება - ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ/სასამართლოს მიერ (3) და გარდაცვალება (3). გარდა ამისა, სხვა სახით გათავისუფლებულთა (გირაო, საქმის შეწყვეტა, ექსტრადიცია და სხვა) საერთო რაოდენობა (282) მთლიანი რაოდენობის 43.2%-ს შეადგენდა.

<sup>2</sup> მონაცემები აღრიცხულია ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების საფუძველზე, პენიტენციური დაწესებულებებიდან მსჯავრდებულთა გასვლის მიხედვით.

<sup>3</sup> მონაცემები აღრიცხულია ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების საფუძველზე, პენიტენციური დაწესებულებებიდან მსჯავრდებულთა გასვლის მიხედვით.

**11.9 პენიტენციური სისტემიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გათავისუფლება-გადავადება**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლებულ - გადავადებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დეტალური მონაცემები მოცემულია შემდეგ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №36, №37):




**11.10 რესოციალიზაციის მიმდინარეობა**

რესოციალიზაციის მიმდინარეობის მაჩვენებელი თითოეული დაწესებულებისთვის ღონისძიებათა ტიპების მიხედვით ითვლება. ამ მიზნით ხდება თითოეულ ღონისძიებაში ჩართული ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის აღრიცხვა და მათი დაყოფა სქესობრივ-საკობრივ ჯგუფებად. ასევე, აღრიცხება თითოეულ დაწესებულებაში განხორციელებული ღონისძიებათა ტიპები მონაწილე პირების გარეშე.


2019 წლის აგვისტოს თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში რესოციალიზაციის 843 ღონისძიება განხორციელდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მონაწილეობით, ხოლო 15 მონაწილე პირთა გარეშე. განხორციელებულ ღონისძიებებს შორის ყველაზე დიდი ადგილი ქვემოთ მოცემული მაჩვენებლების მიხედვით შრომას (543) ეკავა.

ასევე, ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე ნაჩვენებია თითოეულ რესოციალიზაციის ღონისძიებებში ჩართული ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობის პროცენტული შედარება სქესობრივ-საკობრივ ჯგუფებში და დაწესებულებების მიხედვით, აგრეთვე რესოციალიზაციის ღონისძიებების მაჩვენებელი მონაწილე პირთა გარეშე (იხ. დანართი, ცხრილი №38, №39, №40):


რესოციალიზაციის ღონისძიებებში ჩართული პირები  
სქესობრივ-საკობრივ ჭრილში




რესოციალიზაციის ღონისძიებებში ჩართული  
ბრალდებულები და მსჯავრდებულები



### რესოციალიზაციის მიმდინარეობა დაწესებულებებში




### რესოციალიზაციის ღონისძიებები მონაწილე პირთა გარეშე



2019 წლის აგვისტოს თვეში, არასრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ მიმდინარეობს/წარმატებით დასრულდა/წარუმატებლად დასრულდა რესოციალიზაციის 80 ღონისძიება. ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია თითოეულ რესოციალიზაციის პროგრამასა და ღონისძიებაში ჩართული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობის პროცენტული შედარება:


**რესოციალიზაციის ღონისძიებებში  
არასრულწლოვანთა ჩართულობა**




საანგარიშო პერიოდში, 54 არასრულწლოვანი ბრალდებულ/მსჯავრდებულ რესოციალიზაციის 80 სხვადასხვა ღონისძიებაში იღებდა მონაწილეობას.

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე ნაჩვენებია რესოციალიზაციის მიმდინარე, წარმატებით და წარუმატებლად დასრულებული ღონისძიებების მაჩვენებლები. ასევე, რესოციალიზაციის ღონისძიებები ქვეტიპების მიხედვით:

### რესოციალიზაციის ღონისძიებები




### ზოგადი/უმაღლესი განათლება







პროფესიული განათლება (კრედიტებით/სასერტიფიკატო),  
საგანმანათლებლო ტრენინგ პროგრამები




ფსიქო-სოციალური  
ტრენინგები/თერაპია



კულტურული/სპორტული  
და სხვა ღონისძიებები




შრომა  
(სამეურნეო სამსახური/ინდივიდუალური საქმიანობა  
/საწარმოო დასაქმება)




### 11.11 სამეურნეო სამუშაოებში დასაქმება

2019 წლის აგვისტოს თვეში, პენიტენციური დაწესებულებების სამეურნეო სამსახურებში დასაქმებული იყო 425 პირი. ქვემოთ დიაგრამებზე ნაჩვენებია მათი რაოდენობა სქესობრივი ჭრილისა და შრომის ანაზღაურების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №41):

დაწესებულებების სამეურნეო სამსახურებში  
მსჯავრდებულთა დასაქმება/ანაზღაურება




**სამეურნეო სამსახურებში დასაქმებული მსჯავრდებულები  
სქესობრივ კრილში**




**11.12 დისციპლინური სახდელები**

2019 წლის აგვისტოს თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში დისციპლინური სახდელები 269-ჯერ იქნა გამოყენებული. საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული დისციპლინური სახდელები სახეებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №42):


**დისციპლინური სახდელები**



**დისციპლინური სახდელები  
სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში**




**დისციპლინური სახდელები  
დაწესებულებებში**




**11.13 წახალისების ფორმები**

2019 წლის აგვისტოს თვეში, მსჯავრდებულთა წახალისება 101-ჯერ განხორციელდა. მათი გადანაწილება წახალისების ფორმებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №43):


## წახალისების ფორმები



## წახალისების ღონისძიებები სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში




### წახალისების ფორმები დაწესებულებებში




### 11.14 პაემნის ღონისძიებები

2019 წლის აგვისტოს თვეში, ბრალდებულებმა და მსჯავრდებულებმა პაემნის უფლებით სულ 4 676-ჯერ ისარგებლეს. განხორციელებული პაემნები სახეობებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №44):


### პაემნის ღონისძიებები



### პაემნის ღონისძიებები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



### პაემნები დაწესებულებებში







### 11.15 წარსულში ნასამართლავი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2019 წლის აგვისტოს თვეში, წარსულში ნასამართლავ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა (3 376) სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №45):

წარსულში ნასამართლავი ბრალდებულები და მსჯავრდებულები  
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში




წარსულში ნასამართლავი  
ბრალდებულები და მსჯავრდებულები დაწესებულებებში




## 11.16 დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2019 წლის აგვისტოს თვეში, დაოჯახებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა (5 136) სქესობრივ-საკობრივი ჭრილისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №46):

დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები  
სქესობრივ-საკობრივ ჭრილში




დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები  
დაწესებულებებში




11.17 შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან მსჯავრდებულთა გათავისუფლების სტატისტიკა სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №36, №47):

შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება  
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



შეწყალების შედეგად  
საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლებული  
მსჯავრდებულები დაწესებულებებში



### **11.18 ამნისტიის შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება**

საანგარიშო პერიოდში, ამნისტიის შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან ბრალდებულის/მსჯავრდებულის გათავისუფლების ფაქტი არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი, ცხრილი №36, №48).


### **11.19 პენიტენციურ სისტემაში მომხდარი დანაშაულები**

დანაშაულებრივი ფაქტების ჩადენის მაჩვენებელი პენიტენციურ სისტემაში გამოითვლება თითოეული დაწესებულებისთვის, საქართველოს სსკ მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების მიხედვით, რაც დაწესებულებებში კრიმინოგენული ვითარების ცალ-ცალკე ჩვენების გარდა საერთო ვითარების ასახვის საშუალებასაც იძლევა. გარდა აღნიშნულისა, კრიმინოგენული სიტუაციის აღმრიცხავი მონაცემთა ცხრილები დანაშაულებრივი ფაქტებისა და მათ ჩამდენ პირთა ასაკის ურთიერთმიმართებასაც აჩვენებს.

საგამოძიებო დეპარტამენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2019 წლის აგვისტოს თვეში, პენიტენციურ სისტემაში მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტების რაოდენობამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 მუხლით გათვალისწინებული 109 ერთეული ქმედება შეადგინა. მათგან, ყველაზე მეტი ხვედრითი წილი საქართველოს სსკ 126-ე (ძალადობა) მუხლით ჩადენილ ქმედებებზე მოდის.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდში გამოძიების დაწყების საფუძვლად ქცეული დანაშაულებრივი ფაქტების რაოდენობა და მათი ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში (იხ. დანართი, ცხრილი №49, №50):


**დანაშაულებრივი ფაქტები,  
რომლებზეც დაიწყო გამოძიება**



**დაწესებულებებსა და დაწესებულებების გარეთ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები**


2019 წლის აგვისტოს თვეში, გამოძიება 11 სხვადასხვა დაწესებულებაში მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტებზე დაიწყო. შემდეგი გრაფიკი ადგილმდებარეობის მიხედვით ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების პროცენტულ მაჩვენებელს ასახავს:

**დაწესებულებებში და დაწესებულების გარეთ  
ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები**



საანგარიშო პერიოდში, გამოძიება ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტზე სულ 109 პირის მიმართ წარიმართა. გამოძიების ობიექტს - ქმედების ჩამდენ პირთა საერთო რაოდენობის უმრავლესობას 26-30 წლამდე ასაკის პირები შეადგენდნენ. ქვემოთ ნაჩვენებ დიაგრამაზე ასახულია 2019 წლის აგვისტოს თვეში ჩადენილი ქმედებებისა და ჩამდენ პირთა ასაკობრივი კატეგორიების ურთიერთმიმართება:

**პირთა რაოდენობა,  
რომელთა მიმართაც დაწყებულია გამოძიება**



**11.20 დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) პენიტენციურ სისტემაში<sup>4</sup>**

**დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა)**


2019 წლის აგვისტოს თვეში, სამედიცინო დეპარტამენტის მონაცემებით, ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების შედეგად, ICD10 კოდით განსაზღვრული ძირითადი დაავადების მიხედვით<sup>5</sup>, გამოვლენილი დაავადებათა საერთო რაოდენობა 8 353-ს გაუტოლდა. სამედიცინო მდგომარეობის ამსახველი მონაცემთა ცხრილები ასევე იძლევა დაავადებების სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში გავრცელების რაოდენობრივი მასშტაბის დადგენის საშუალებას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია ICD10 კოდით განსაზღვრული ძირითად დაავადებათა ხვედრითი წილი. პენიტენციურ სისტემაში გავრცელებული დაავადებებიდან ყველაზე დიდი ნაწილი ფსიქიკურ და ქცევით აშლილობებზე (1 395) მოდის. ხოლო, ყველაზე დაბალი მაჩვენებლით წარმოდგენილია თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები (4) (იხ. დანართი, ცხრილი №51):

<sup>4</sup> დაავადებათა შესაბამისი კოდები (ICD10) იხილეთ ანგარიშის დანართში.

<sup>5</sup> დაავადებათა უფრო დეტალურად ჩამოთვლილი მონაცემები იხ. ანგარიშის თანდართულ №51 და №52 ცხრილებში.


**დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა)  
საერთო**



დაავადებული პირების კატეგორიაში ყველაზე მეტი მაჩვენებლით სრულწლოვანი კაცები (7 439) ხასიათდებიან. ICD10 კოდით განსაზღვრული ძირითადი დაავადებები, სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №52):




დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა)  
სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში



შემდეგი დიაგრამა განსაზღვრავს ქალებისა და კაცების ასაკობრივი კატეგორიების ხვედრით წილს ICD10 კოდით განსაზღვრულ ძირითად დაავადებათა საერთო რაოდენობაში:


დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა)  
სქესობრივ-ასაკობრივ კატეგორიებში



მოცემული დიაგრამიდან ჩანს, რომ მ/წლის აგვისტოს თვეში, დაავადებათა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სრულწლოვან კაცებსა და ქალებში 41-49 წლამდე ასაკობრივ კატეგორიებში გამოვლინდა.


არასრულწლოვნებში დაავადებების რაოდენობა (52) ICD10 კოდით განსაზღვრულ ძირითად დაავადებათა მთლიანი რაოდენობის (8 353) 0.6%-ს შეადგენს. დიაგრამაზე აღნიშნულია დაავადებათა მაჩვენებელი არასრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში დაავადებათა კატეგორიის მიხედვით:

**დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა)  
არასრულწლოვან კაცებში/ქალებში**




შემდეგი ორი დიაგრამა აჩვენებს ICD10 კოდით განსაზღვრულ ძირითად დაავადებათა კატეგორიების გავრცელების მასშტაბს ცალ-ცალკე მამრობითი და მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ (იხ. დანართი, ცხრილი №52):

### დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) სრულწლოვან კაცებში



**დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა)  
სრულწლოვან ქალებში**




მოცემული დიაგრამებიდან ჩანს, რომ როგორც მამრობითი ისე მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები სჭარბობს.

### **სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფა**

პენიტენციურ დაწესებულებებში მკურნალობასთან დაკავშირებული მონაცემები ამ ეტაპზე წლიურ ფორმაში ყოველთვიურად გაწეული პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების მიხედვით ითვლება.

ქვემოთ ნაჩვენები დიაგრამა პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთათვის 2019 წლის აგვისტოს თვეში სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფას პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების ტიპების მიხედვით წარმოგვიდგენს (იხ. დანართი, ცხრილი №53):


## პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებები




### 11.21 გარდაცვალება

2019 წლის აგვისტოს თვეში, პენიტენციურ სისტემაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარდაცვალების 3 ფაქტი დაფიქსირდა. გარდაცვალების მაჩვენებელი ადგილმდებარეობისა და სავარაუდო ნოზოლოგიის მიხედვით ასახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №54, №55):

**გარდაცვლილ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა  
სტატისტიკა**



**გარდაცვლილ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა  
სტატისტიკა**




**ნაწილი 12 - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - პრობაციის ეროვნული სააგენტო**

**12.1 არაპატიმარი მსჯავრდებულები**

არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობის სტატისტიკური მონაცემები რეგიონების, სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფებისა და შეფარდებული ღონისძიების მიხედვით ითვლება. 2019 წლის აგვისტოს თვის მონაცემებით, საქართველოში სულ 20 029 არაპატიმარი მსჯავრდებული ფიქსირდება. რეგიონებს შორის მაღალი მაჩვენებლით თბილისი გამოირჩევა, რომელსაც ასევე მაღალი მაჩვენებლით იმერეთის, სამეგრელო ზემო-სვანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები მოსდევს. არაპატიმარ მსჯავრდებულთა ყველაზე მცირე რაოდენობა კი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო ქართლის რეგიონშია დაფიქსირებული, რაც ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზეა ასახული (იხ. დანართი, ცხრილი №56):


**არაპატიმარი მსჯავრდებულები რეგიონებში**



შეფარდებული ღონისძიების მიხედვით, ქვეყანაში არაპატიმარ მსჯავრდებულთა ყველაზე მეტი რაოდენობა პირობით მსჯავრზე (16 601) მოდის, ხოლო ყველაზე მცირე მაჩვენებლით ხასიათდება სასჯელის მოხდის გადავადება (11).




**არაპატიმარი მსჯავრდებულები  
შეფარდებული ღონისძიების მიხედვით**



მთელი ქვეყნის მასშტაბით, არაპატიმარ მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში უმეტესობა სრულწლოვანი კაცებით არის წარმოდგენილი, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №57, №58):


**არაპატიმარ მსჯავრდებულთა  
სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები**




**12.2 არაპატიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობას დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით შემდეგი დიაგრამები ასახავს (იხ. დანართი, ცხრილი №59):

**არაპატიმარი მსჯავრდებულები  
დანაშაულის კატეგორიის მიხედვით**




**არაპატიმარი მსჯავრდებულები  
დანაშაულის სახეობის მიხედვით**




**12.3 არასრულწლოვანი არაპატიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით**

2019 წლის აგვისტოს თვის მონაცემებით, არასრულწლოვანი არაპატიმარი მსჯავრდებულები (104) არაპატიმარ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.5%-ს შეადგენდნენ. მათი საერთო რაოდენობის კლასიფიცირება დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით შემდეგ სურათს გვამღევს (იხ. დანართი, ცხრილი №59):

**არასრულწლოვანი არაპატიმარი მსჯავრდებულები  
დანაშაულის კატეგორიის მიხედვით**




**არასრულწლოვანი არაპატიმარი მსჯავრდებულები  
დანაშაულის სახეობის მიხედვით**




**12.4 უცხოელი არაპატიმარი მსჯავრდებულები**

2019 წლის აგვისტოს თვეში, საქართველოში 17 სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეობის მქონე 199 უცხოელი არაპატიმარი მსჯავრდებული დაფიქსირდა, რაც არაპატიმარ მსჯავრდებულთა მთლიანი რაოდენობის 1.0%-ია. მათი განაწილების მაჩვენებელი სექსობრივ-ასაკობრივი ჯგუფებისა და მოქალაქეობის მიხედვით მოცემულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ.დანართი, ცხრილი №60, №61):

უცხოელ არაპატიმარ მსჯავრდებულთა  
სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები




უცხოელი არაპატიმარი მსჯავრდებულები  
მოქალაქეობის მიხედვით




**12.5 არაპატიმარი მსჯავრდებულები არასაპატიმრო სასჯელის ტიპის მიხედვით**

არასაპატიმრო სასჯელის შეფარდება ხორციელდება როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასჯელის სახით. საანგარიშო პერიოდში, არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირების რაოდენობა - 1 222 (თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნა; იარაღთან დაკავშირებული უფლების შეზღუდვა; გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნა) არაპატიმარ მსჯავრდებულთა საერთო რიცხვის (20 029) 6.1%-ს შეადგენს. აქედან არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირების 3.6% (44) ქალია. საანგარიშო პერიოდში, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა (ძირითადი/დამატებითი სასჯელი) სულ 502 (არასაპატიმრო სასჯელის საერთო რაოდენობის 41.1%), საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნა (ძირითადი/დამატებითი სასჯელი) სულ 599 (არასაპატიმრო სასჯელის საერთო რაოდენობის 49.0%), იარაღთან დაკავშირებული უფლების შეზღუდვა (საპატიმრო სასჯელთან ერთად/არასაპატიმრო სასჯელთან ერთად) სულ 121 (არასაპატიმრო სასჯელის საერთო რაოდენობის 9.9%) პირს ჰქონდა შეფარდებული, ხოლო გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნა არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი, ცხრილი №62):


**თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა**



**საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნა**




### იარაღთან დაკავშირებული უფლების შეზღუდვა



საანგარიშო პერიოდში, პრობაციის ღონისძიებაშეფარდებულ პირთა რაოდენობა სულ 19 678-ს აღწევს. მათი ზვედრითი წილი შეფარდებული პრობაციის ღონისძიების მიხედვით მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №56):

### პრობაციის ღონისძიების შეფარდება




### 12.6 არაკატივარ მსჯავრდებულთა მატება


2019 წლის აგვისტოს თვეში, სასამართლო გადაწყვეტილება არასაკტივრო სასჯელისა და პრობაციის ღონისძიების შეფარდების შესახებ სულ 1 024 პირის მიმართ იქნა გამოტანილი.

შემდეგ დიაგრამაზე ასახულია ზემოთ აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებების რაოდენობა რეგიონების და შეფარდებული ღონისძიების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №63):

არაპატიმარ მსჯავრდებულთა მატება რეგიონულ ჭრილში




არაპატიმარ მსჯავრდებულთა მატება შეფარდებული ღონისძიების მიხედვით



ქვემოთ დიაგრამაზე მოცემულია 2019 წლის აგვისტოს თვის განმავლობაში არაპატიმარ მსჯავრდებულთა მატების მაჩვენებელი სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №64):


**არაპატიმარ მსჯავრდებულთა მატება  
სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები**



### 12.7 დასრულებული საქმეები


2019 წლის აგვისტოს თვეში, დასრულებულ საქმეთა რაოდენობა საქართველოს მოქალაქეთა (998) და უცხოელთა (6) მიმართ საფუძვლებისა და რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №65, №66, №67, №68):

**დასრულებული საქმეები საქართველოს მოქალაქეთა მიმართ  
საფუძვლის მიხედვით**






**დასრულებული საქმეები უცხოელთა მიმართ  
საფუძვლის მიხედვით**






**დასრულებული საქმეები  
რეგიონულ ჭრილში (საერთო)**



როგორც დიაგრამიდან ჩანს, დასრულებული საქმეების რაოდენობის მხრივ თბილისის შემდეგ მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა იმერეთის, ქვემო ქართლის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები. ხოლო, რაოდენობრივად ბოლო ადგილზე რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთია.


დასრულებული საქმეების რაოდენობა არაპატიმარ მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში შემდეგია (იხ. დანართი, ცხრილი №66, №67, №68):




## 12.8 პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია არაპატიმარ მსჯავრდებულთათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის 2019 წლის აგვისტოს თვის სტატისტიკა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №69):

**პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა  
სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში**



**პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა  
რეგიონულ ჯგუფში**



## 12.9 არაპატიმარ მსჯავრდებულთა შეწყალება

2019 წლის აგვისტოს თვეში, არაპატიმარ მსჯავრდებულთა შეწყალების ფაქტი არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი, ცხრილი №70).

## 12.10 არაპატიმარ მსჯავრდებულთა ამნისტია

2019 წლის აგვისტოს თვეში, არაპატიმარ მსჯავრდებულთა ამნისტიის ფაქტი არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი, ცხრილი №71).


## 12.11 საქმეების საშუალო რაოდენობა<sup>6</sup> ერთ ოფიცერზე

2019 წლის აგვისტოს თვის მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში 20 029 არაპატიმარი მსჯავრდებულის საქმე 140 პრობაციის ოფიცერზე ნაწილდება. საქმეების საშუალო რაოდენობით ერთ ოფიცერზე რეგიონებში თბილისი (173), სამეგრელო-ზემო სვანეთი (160) და ქვემო ქართლი (145) ლიდერობს, ხოლო ყველაზე მცირე საშუალო მაჩვენებელი რაჭა-ლეჩუმსა და ქვემო სვანეთში (48) დაფიქსირდა. მთლიანი ქვეყნის მასშტაბით, საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში 143 იყო. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია საქმეების საშუალო რაოდენობის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №72):

---

<sup>6</sup> საქმეების საშუალო რაოდენობა თითოეულ პრობაციის ოფიცერზე რეგიონულ ჭრილში გამოითვლება საანგარიშო პერიოდისთვის მოცემულ რეგიონში დაფიქსირებული არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობის გაყოფით ამავე რეგიონში მოქმედ პრობაციის ოფიცერების რაოდენობაზე. მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთ ოფიცერზე საქმეების საშუალო რაოდენობის გამოთვლისას არაპატიმარ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა იყოფა საქართველოში მოქმედ ყველა პრობაციის ოფიცერის რაოდენობის აღმნიშვნელ რიცხვზე. არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობა როგორც რეგიონულ ჭრილში, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით ასახულია დანართის №56 ცხრილში სახელწოდებით „არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობა შეფარდებული ღონისძიების მიხედვით რეგიონულ ჭრილში“.

საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე  
რეგიონულ ჭრილში




12.12 არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიმდინარეობა და განრიდებულთა შეფასება


2019 წლის აგვისტოს თვეში, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით თბილისის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელო-ზ/სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი და ქ/სვანეთისა და აჭარის რეგიონებში განხორციელებული სარეაბილიტაციო და სამკურნალო პროგრამებისა და დასაქმების ღონისძიებები სულ 291 არაპატიმარი მსჯავრდებულისთვის მოქმედებდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის 2019 წლის აგვისტოს თვის სტატისტიკა პროგრამების, სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №73, №74):


არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია  
პროგრამების მიხედვით



არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია  
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში




**არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია  
რეგიონულ ჭრილში**




საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, განრიდებულთა შეფასების მაჩვენებელი (73) რეგიონებისა და სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ასახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №73, №74):

**განრიდებულთა შეფასების მაჩვენებელი  
რეგიონულ ჭრილში**




განრიდებულთა შეფასების მაჩვენებელი  
სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში



12.13 არაპატიმარ მსჯავრდებულთა დასაქმება


ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია არაპატიმარ მსჯავრდებულთა დასაქმების 2019 წლის აგვისტოს თვის სტატისტიკა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფისა და რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №75):

არაპატიმარ მსჯავრდებულთა დასაქმება  
რეგიონულ ჯგუფში






**არაპატიმარ მსჯავრდებულთა დასაქმება  
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში**




**12.14 შინაპატიმრობა**

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია შინაპატიმრობის შეფარდების 2019 წლის აგვისტოს თვის სტატისტიკის საერთო მაჩვენებელი სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილის, რეგიონებისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №76, №77, №78):


**შინაპატიმრობის შეფარდება  
რეგიონულ ჭრილში (საერთო)**



**შინაპატიმრობის შეფარდება  
სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში (საერთო)**




**შინაპატიმრობის შეფარდება  
სასამართლოს/ადგილობრივი საბჭოების მიერ (საერთო)**




ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია შინაპატიმრობის მაჩვენებელთან დაკავშირებით შემოსულ საქმეთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფის, რეგიონებისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №77):


**შინაპატიმრობის შეფარდება - შემოსულ საქმეთა რაოდენობა  
რეგიონულ ჯგუფში**



**შინაპატიმრობის შეფარდება - შემოსულ საქმეთა რაოდენობა  
სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში**




**შინაპატიმრობის შეფარდება - შემოსულ საქმეთა რაოდენობა  
სასამართლოს/ადგილობრივი საბჭოების მიერ**




ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია შინაპატიმრობის მაჩვენებელთან დაკავშირებით დასრულებულ საქმეთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფის, რეგიონებისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №78):

**შინაპატიმრობის შეფარდება - დასრულებულ საქმეთა რაოდენობა  
რეგიონულ ჯგუფში**



შინაპატიმრობის შეფარდება - დასრულებულ საქმეთა რაოდენობა  
სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში



შინაპატიმრობის შეფარდება - დასრულებულ საქმეთა რაოდენობა  
სასამართლოს/ადგილობრივი საბჭოების მიერ

